INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

# ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება (მემორანდუმი)

ქ. თბილისი 20 ივნისი 2014 წელი

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო (შემდგომში საბჭო), საბჭოს მდივნის ირინე იმერლიშვილის სახით და ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) (შემდგომში ინსტიტუტი), მისი დირექტორის გიორგი კლდიაშვილის სახით, კეთილი ნების საფუძველზე დებენ წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას (მემორანდუმს):

## 1. შეთანხმების საგანი

1.1. საბჭოს საქმიანობის გამჭირვალობისა და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების ამაღლების, კანონმდებლობით გავალისწინებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საბჭოს ვებ-გვერდზე განთავსების სტანდარტის შემუშავების მიზნით, ინსტიტუტი საბჭოს მიაწვდის რეკომენდაციებს საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულებისა და საბჭოს ოფიცილური ვებ-გვერდის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად;

1.2. საბჭო თავის მხრივ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენებს ინსტიტუტის მიერ მიწოდებულ რეკომენდაციებს.

1.3. შეთანხმებით გათვალისწინებული საქმიანობა განხორციელდება საზოგადოებრივ საწყისებზე, არაკომერციულ საფუძველზე, მხარეებს შორის ნებაყოფლობითი თანამშრომლობის გზით.

## 2. მხარეები:

ირინე იმერლიშვილი

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო მდივანი

გიორგი კლდიაშვილი

ინფორმაციის განვითარების თავისუფლების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორი